ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა ქონების მართვის სამსახური (შემდგომში სამსახური) არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვას. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახურის კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც გამგებელის წარდგინებით ამტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, საჯაროობის, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 16 810 876 ლარს. ქონების სია საბალანსო ღირებულებით ანგარიშს თან ახლავს დანართის სახით. მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა თავის ბალანსზე არსებული მოძრავი თუ უძრავი ქონების განახლებისა და მოვლისათვის წლების განმავლობაში ხარჯავს სერიოზულ თანხებს. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ქონების ჩამონათვლის გრძელ სიაში არის ობიექტები, რომლის რეაბილიტაციაც თითქმის შეუძლებელია და აუცილებელია მათი გასხვისება. როგორც ჩვენს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა აჩვენა, რომელიც გამოიხატა ჩვენს მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების მიმდინარეობის პროცესში, ძირითადად მოთხოვნა არის დაბის, საკურორტო და ბორჯომ ხარაგაულის ტყეპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე და შენობა ნაგებობებზე. ჩვენდა სამწუხაროდ აღნიშნული მიმართულებით არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები ძალიან მცირეა ხოლო სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაცია (გაყიდვა) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით აკრძალულია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ მოძრავ ტექნიკას, რომელიც მემკვიდროებით ერგო თუ შეძენილ იქნა სოფლის განვითარების პროგრამით გამოყოფილი სახსრებიდან, უმრავლეს შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და უახლოეს მომავალში მოგვიწევს აუქციონის წესით პრივატიზაცია. ამ შემთხვევაში გამოსაყოფია ბიუჯეტიდან გარკვეული თანხები, რომლებიც მოხმარდება მწყობრიდან გამოსული ტექნიკის დაბის ტერიტორიაზე თავმოყრას.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, 2015 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო და საიჯარო გეგმის მიხედვით მოახდინა 58 ობიექტის საპრივატიზაციო ელექტრონულ აუქციონზე გატანა და 6 ობიექტი გატანილი იქნა იჯარაზე. საპრივატიზაციო 58 ობიექტიდან პრივატიზებული იქნა:

მოლითის ა/ერთეულში არსებული ყოფილი კავშირგაბმულობის შენობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით 847 ლ.

ააიპ „ბიბლიოთეკების გაერთიანები"-ს მიერ მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული მაკულატურა 880 ლ.

სოლომონ მეფის მე-2 შესახვევში 17,5 m^2 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 308 ლ.

სოლომონ მეფის მე-2 შესახვევი 60 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 2640 ლ.

სოლომონ მეფის ქ. 20კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 3360 ლ.

სოლომონ მეფის ქ. დასაწყისი 25 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 1100 ლ.

სოლომონ მეფის პირ. ჩიხი 30 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 1680 ლ.

წერეთლის ქ. 37 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 832 ლ.

სოფ. მარელის 1000 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 3850 ლ.

სოფ. მარელის 486 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 1683 ლ.

სოფ. მარელის 486 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 1683 ლ.

სოფ. მარელისი 300 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 1128 ლ.

წყალაფორეთში არსებული ამორტიზირებული ად. შენობა 1980ლ.

სოფ. ჭარტალში 500კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 1925 ლ.

სოფ. კიცხში ყოფილი სახერხი მასზე დამაგრებული 448 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწით 1760 ლ.

სოფ. კიცხი 350 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 3465 ლ.

სოფ. ნადაბური ჯართი 200 ლ.

გაიცა იჯარით ელექტრონული აუქციონით ღორეშაში გამგეობის ბალანსზე არსებულ შენობაში არსებული N1 და N2 მაღაზია 779 ლ. და 856 ლ.

ბორითის ეგრ. წოდებული სავ. ცენტრში არსებული მაღაზია 2112 ლ.

საღანძილეში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 2106 ლ.

ბორში ბორის საჯ. სკოლაში არსებული 227 კვ.მ ფართი 2970 ლ.

აღნიშნული გატარებული ღონისძიებების შედეგად იჯარიდან ბიუჯეტში წლიურად შემოვა 8823 ლ.

პრივატიზაციის შედეგად კი ერთჯერედად შემოვიდა 29361 ლ.

ჩვენს მიერ რამოდენიმეჯერ იქნა შეტანილი საკრებულოზე საპრივატიზაციო გეგმაში ცვლილება. ყველა ობიექტის შესახებ კვლევა მომზადებულია და შეფასებულია დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. ასევე გაგზავნილია ეკონომიკისა და ქონების მართვის სააგენტოში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და მათ ბალანსზე არსებული შენობების დარეგიტრირებისა და გადმოცემის შესახებ მოთხოვნები. ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და შენობების დასარეგისტრირებლად საბუთების მომზადება.

ეკონომიკისა და ქონების სამსახურის მიერ ხდება და მიმდინარეობს მუშაობა დასუფთავების გადასახადის ამოღებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. დღეის მდგომარეობით გაფორმებულია ხელშერულებები 90 კერძო სამართლის იურიდიულ პირთან. სირთულეს წარმოადგენს მოსახლეობიდან დასუფთავების გადასახადი ამოღება. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის უწყებებთან ელექტრონული სისტემის დანერგვისა რათა გაადვილდეს გადასახადის ამოღება.

დღეიდან მუნიციპალიტეტის გამგეობა იწყებს მუშაობას მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაზე, რომლის შესახებ ჩატარდა 2 დღიანი ტრეინინგი ქ. წყალტუბოში სადაც მუნიციპალტეტის გამგეობა წარმოდგენილი იყო გამგებლის მ.შ. და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის სახით. აღნიშნული გეგმის შემუშავებაში აუცილებლობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სარებულოს წარმომადგენლების მონაწილეობა. მომავალი შეხვედრა დაგეგმილია დეკემბრის შუა რიცხვებში სადაც მოხდება მუნიციპალიტეტების მიერ გარკვეული შეგროვებული ინფორმაციის მიწოდება.

ეკონომიკისა და ქონების მართვის

სამსახურის უფროსი: ~ ა.ლურსმანაშვილი~

21.11.2016 წ.